




საქართველოს მთავრობის



№10 (292)

12 აპრილი, ორშაბათი,

2021 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გავაძე დამტკიცა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმვარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გვენცაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზეიად ქურდაძე.

სხდომას უძღვებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

საკრებულოს წევრებს დადგენილების პროექტი წარუდგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ხელმძღვანელმა ლია ჯიქურაშვილი.



ილმა. გენერალური გეგმის პროექტის აგზორმა, შპს „ურბანიკას“ დირექტორმა ირაკლი მურდულიამ მიმოიხილა გენერალურ გეგმაზე მუშაობის ეტაპები და გეგმის ძირითადი კომპონენტები.

დაბა სურამის გენერალური გეგმა გულისხმობს კურორტის ბუნებრივი პირობებისა და მინერალური წყლების გონივრულად გამოყენებას, სურამის საბავშვო კურორტის ფუნქციის აღორძინებას, აღმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრის კომპლექსურად მოწესრიგებას, დაბის არქიტექტურულ-სტერიული იურ-სახის გაუმჯობესებას, ქაოსური სამშენებლო სამუშაოების წარმოების რისკის შემცირებას, სურამის ციხის, ასევე ებრაელთა უბნისა და სინაგოგის არსებული ტურისტული შესაძლებლობების განვითარებას, სურამის რაიონის სადგურის რეკონსტრუქციას, ე. წ. ბრაუნფილდის - არსებული და მიტოვებული სამრეწველო ობიექტების პერსაცეპტივის განსაზღვრას.

სხდომაზე სიტყვით გამოყიდა საქართველოს პარლამენტის წევრი ზაალ დუგლაძე. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს იმ საქმიანობისთვის, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტისა და, ზოგადად, შიდა ქართლის რეგიონის განვითარებისკენაა მიმართული. „გენერალური გეგმის შემუშვება სურამის წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავირიდოთ ქაოსური განვითარება და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის დიდი პოტენციალი, რაც სურამის გააჩნია აღნიშნა ზაალ დუგლაძემ.“

დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლერი ბარნაბიშვილმა შიდა ქართლის რეგიონში სამუშაო შეხვედრა გამართა

შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა სადარევიშვილი, რწმუნებულის მთადგილები, მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები დაესწრენ. ლერი ბარნაბიშვილმა, რეგიონის პირველი პირები ერთად, ოთხვე მუნიციპალიტეტის პროორიტეტული საკითხები გა-



ნიხილა. ასევე, შეხვედრაზე უწრადდება გამახვილდა მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სოციალური და ეკონომიკური მიმართულებით. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საუბრისას ხაზი გაუსვა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის მნიშვნელობას. მისი თქმით, თოთოვეული პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივების მოსაზრებები და განსახორციელებული პროექტები სწორედ მათ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. „დღევანდელ შეხვედრაზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების შორის მიზიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ვიმსჯელეთ, ჩვენი მიზანია, რომ რეგიონები ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდნენ და გაძლიერდნენ. შესაბამისად, ჩვენი ერთობლივი მუშაობა და მჭიდრო თანამშრომლობა ამის საშუალებას მოგვცემს“ - აღნიშნა ლერი ბარნაბიშვილმა.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, სამუშაო შეხვედრებს საქართველოს ყველა რეგიონში გამართავს.

მაჟორიცანი ღეპუნაცი მოსახლეობას ხვდება

ხაშურისა და ქართლის მაჟორიცანი დეპუტატი ზაალ დუგლაძე სურამში, თაყაიშვილის ქუხაზე ცენტრალურ მოსახლეობას შეხვდა.

ადგილობრივებთან ერთად განიხილა მიმდინარე პროექტი, რომელიც დაბა სურამში აღნიშნული ქუჩის მოასფალტების სამუშაოებს ითვალისწინებს.



ისწინებს.

პროექტის ღირებულება შეადგენს 187 649,41 ლარს.

სამუშაოების დასრულების ვადა 91 კალენდარული დღე.

პროექტი ითვალისწინებს არსებული დაზიანებული კიუვების დემონტაჟს, არსებული ლითონის ცხაურის დემონტაჟს, ელ. გადამცემი ბოქების დემონტაჟს, გადასაგანი ბოქების დაყენება და სხვა.

შეხვედრისას, დეპუტატმა და ადგილობრივებმა სხვა პრობლემატურ საკითხებზეც იმსჯელეს.

- პ ლ ე მ ი კ ა -

მადლიერება თუ უმადურობა?!

ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანი სულ უფრო მეტად აკვირდება გარშემო მყოფთა ქცევებს, ქმედებებს, სიტყვა პასუხს, სიავით, სიბოროტით, თუ სიკეთითა და უანგაროდ გაკეთებულ და გაუკეთებელ საქმეებს.

ასევე ვარ მეც, რომელსაც, განვლილი ცხოვრების მანძილზე, არც თუ ცოტა მიშრომია და შეიძლება ითქვას, ერთი აგური მაინც მაქვს დადებული ჩვენი ქვეყნის გაძლიერების საქმეში.

ბავშვობიდან მოყოლებული (მნიშვნელოვანი წლები ხაშურში მაქვს გატარებული), თითქმის სიბერებული, უფალმა ბევრ ადამიანს შემახვედრა, მათგან ბევრი რამ ვისწავლე და ბევრი რამ გავიგე, ადამიანს თვალი და ყური იმიტომაც აქვს, რომ, პირველ რიგში, კარგი დაინახოს, კარგი მოისმინოს, დასკვნები გაკეთოს, სხვის შეცდომებზე ისწავლოს, მადლიერი იყოს იმით, რაც აქვს, რაც უანგაროდ ვინმემ გაუკეთა.

ცუდსა და უარყოფითს კრიტიკული თვალით შეხედოს, დაგმოს ის, რაც დასაგმობია. მაგალითი მისცეს გარშემომყოფთ, განსაკუთრებით მოზარდ თაობას, რომ კარგი ცხოვრება მარტო ფულსა და სიმდიდრეში არ არის, უალგარული ქცევები და სიბოროტე, უარყოფითი ზნე-ჩვეულებები,



უმადურობა ნებისმიერ ადამიანს, როგორც პიროვნებას, აკნინებს, უაზროს ხდის მის ამ ქვეყანაზე არსებობას.

თუ არა და უფალმა, რატომ მოავლინა ადამიანი ამ ქვეყანაზე? რატომ დგას ადამიანი განვითარების უფრო მაღალ დონეზე, ვიდერ ნებისმიერი ცხოველი? ამას ხომ ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩ. დარვინმა გასცა ზუსტი და ამომწურავი პასუხი!- ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, რომ ბავშვობიდან მოყოლებული ვისწავლოთ ადამიანური ცხოვრება. ვისწავლოთ, პირველ რიგში, ადამიანის პატივისცემა, ვისწავლოთ აზრიანი შრომა, გვერდეს მადლიერების გრძნობა. არ დავუკარგოთ ადამიანს სიკეთის კეთების სურვილი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმის პრელუდია, რომ სურვილი ერთია, მაგრამ ცხოვრებაში, პრაქტიკულად, განსხვავებული ფაქტები გვხვდება და სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებისათვის უნდა ზრუნვადეს ადამიანი.

აბა, დაგაკვირდეთ ჩვენს ირგვლივ არსებულ რეალურ სიტუაციებს. რამდენ უმსგავსობებს ვხვდებით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენი უმადური დადის ამ ქვეყანაზე?! რამდენი წამლავს თავისი ბილწისტყვაობით სიკეთის კეთებელ ადამიანს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების ასე თუ ისე აწყობილი სისტემა გვაქვს (სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი და სხვა), უმეტესად, ყველგან მხოლოდ სპეციალისტის აღზრდაზე ზრუნავენ. (თუმცა აქაც საკითხავია, როგორია მომზადებული სპეციალისტების ხარისხი) „მაგრამ რა არის ქართული ცხოვრების წესი, სამშობლოს ფენომენი, სამშობლოს სიყვარულის ქართული განცდა, მამულზე მიჯაჭვულობა და მისთვის თავდადება, ამის საქალებაზე არც ოჯახში, არც ნებისმიერი დონის სასწავლებელში არავინ ფიქრობს და არავინ ზრუნავს, “- წერს პროფესორი ვაჟა შუბითიძე გაზეთ „ასავალ-დასავალში“ და იქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ განათლების სისტემაში არსებულმა პრობლემებმა და ხარვეზებმა ბევრი უარყოფითი შედეგი მოგვცა. კერძოდ, ჩვენი ერის დასუსტებით ანტიქართულმა ძალებმა, ჩვენმა ისტორიულმა მტრებმა ისარგებლებს და ცდილობენ, ერს თავს მოახვიონ საქვო ღირებულებები - ერთსქესიანთა ქორწინება, ეგოისტური და უპსუხისმგებლო ცხოვრების წესი, აღვირასხილობა და სხვა.

თუ არა და ბაგშის, მოზარდის, ახალგაზრდის აღზრდის სისტემაში დაგვებული შეცდომები განაპირობებენ ჩვენს წერილში წამოჭრილი საკითხების „მადლიერება და უმადურობა“, არსებობას თუ არ არსებობას თვითორეული ადამიანის ცნობიერებაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მადლიერება, მადლობა, წმინდა ქართულია, იგი ასეა განმარტებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

მადლიერება - მადლობის გრძნობა გულწრფელი, მადლობა - დაფასება ვისიმე სასიკონო ან სასურველი მოქმედებისა, კმაყოფილების განცდა ამის გამო.

აქვე, აღარ საჭირო იქნება სიტყვა „უმადურის“ - განმარტებასაც გავეცნოთ. - ვინც ვისმე მადლის, სიკეთეს არ აფასებს, ვინც ვისიმე (რისიმე) მადლიერი არ არის.

თუ როგორი გზა უნდა აირჩიოს ადამიანმა, მკითხველისათვის მიმინდვია. მაგრამ ჩემი არჩევანი ყოველთის მადლიერებისაკენ იხრება და ცფიქრობ, ჩემმა არჩევანმა რეალურად გაამართლა, რამე თუ ჩემში მადლიერების მომეტებულმა დოზამ მორალურად ძალზე მდიდარი გამხადა, შევიძინე არაერთი მცირფასი ადამიანი, რომლებიც უანგაროდ მედგნენ გვერდში, გამოხატავდნენ კმაყოფილებას ჩემი ქცევის, კეთილსინდისიერი შრომის თუ ცოდნის გამომჟღავნების თაობაზე.

ცხოვრებულმა მშობლებმა, მამიდამ, დეიდებმა, ბიძებმა ბავშვობიდანვე

ჩამინერგეს მოყვასის პატივისცემა, სიკეთის დანახვისა და დაფასების უნარი და მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურად არც თუ ძლიერი ოჯახიდან ვიყავი მონდომებული სწავლით, უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობით სიკეთის, ამაგის დანახვით, გზა გავიკაფე და სხვაზე ნაკლები მდგომარეობისათვის არ მიმიღწევია.

ყოველივე აღნიშნულს იმიტომაც ვუსვამ ხაზს, რომ პირადად ჩემს მიმართაც ქონდა ადგილი უმადურობის არაერთ ფატს. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, არა ერთი ადამიანისთვის გამიწევია თანადგომა, სამსახურში მოწყობა იქნება ეს, ფინანსური თუ ფიზიკური დახმარება, მორალური მხარდაჭერა და ა.შ. მაგრამ შეაყარე „კედელს ცერცვი“, „კოკასა შიგან რაც არის, იგივე გადმოდინდების“.

რა ვქნათ? არ უნდათ სიკეთის დანახვა, არ უნდათ ვინმეს მადლიერნი იყვნენ, იმას ვერ ხვდებიან, რომ ასეთი ქცევით, თავისსავე თავს აყენებენ ზიანს. ასეთ ადამიანებს არავინ ასწავლა, არც ოჯახში, არც სკოლაში, არც უმაღლეს სასწავლებელში, რომ სიკეთეს სიკეთით უნდა უპასუხო, თუ ადექვატურად ვერ მოიქცევი. სიკეთე რომ მიიღო და პრაქტიკულად გაიუმჯობესე შენი ცხოვრება, მადლობა მაინც თქვი, მადლიერი მაინც იყავი.

სამწუხაროა იმის აღნიშნვა, რომ ზემოთაღნიშნული თვისებების მატარებელი, უფრო მეტად ეწ. „განათლება“ მიღებულთა შორის უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოების იმ ფენებში, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლის კარი არც კი შეუღიათ.

საბჭოთა პერიოდში, ყველა სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად ითვლებოდა ყველა დონის განათლების მქონე მოქალაქეთა შორის, ასევე წარმოჩენილი ვიყავით როგორც ყველაზე წიგნიერი ერი (აღარ გაყიდული წიგნების მიხედვით). რა თქმა უნდა, ყველა კმაყოფილი იყო ასეთი შეფასებების და სტატისტიკური მონაცემების გამო, მაგრამ მართლა ასე ვიყავით და ვართ? რა თქმა უნდა, არა და ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ ამა თუ იმ სასწავლებელში მიღებული დიპლომი ან შეძენილი მრავალი წიგნი, არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ესა და ეს ადამიანი კულტურული და განათლებულია, ან წიგნიერია.

მიმოვიხედოთ ირგვლივ, ობიექტურად შევაფასოთ რეალობა და დავინახავთ, რომ „დიპლომიანთა“ და „ბევრი წიგნის“ მფლობელთა შორის ძალზე ცოტაა მართლაც განათლებული, წიგნიერი ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ მსარი აუზან თანამედროვეების გამოწვევებს, აითვისონ ახალი ტექნოლოგიები, შეძლონ თავისი აზრის ჩამოყალიბება, იმსჯელონ აქტუალური საკითხების ირგვლივ და ა.შ.

სამწუხაროდ, ზემოთაღნიშნული კატეგორიის ადამიანები კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ავლენენ არამც თუ ვითომ მიღებულ „ცოდნას“, არამდ წერა-კითხვაც კი უჭირთ. ამის არაერთი მაგალითი მაგრამ რა არა მომარტინი ათეული წლის გამოცდილების საფუძველზე, როცა ეწ. „განათლებული“ მოქალაქე, ელემენტარულად ვერ აზროვნებს, განცხადებას ვერ წერს და ა.შ.

ასეთ ადამიანებს, როგორ უნდა მოსთხოვო მადლიერების გრძნობის ქონა, ისინი ხომ ყელას და ყველაფერის მიმართ მხოლოდ მომთხოვნელობით, მომხვეჭელობით გამოირჩევიან და არაფრად მიაჩნიათ წესიერება, უბრალოება, ა დ ა მ ი ს ა დ მ ი ყურადღების გამოჩენა, სიკეთის დანახვა, სიკეთის მთესველთა არა მარტო დანახვა, არამდ დაფასება, რომ არაფრერი ვთქვათ მათ მიერ სიკეთის კეთებაზე.

- განათლება -

ხაშურის პირველი საჯარო სკოლა ევროპის
დემოკრატიული სკოლების საერთაშორისო
ქსელის წევრი გახდა

საქართველოს შვიდი სახარო სკოლა ევროპის საბჭოს დემოკრატიული სკოლების საერთაშორისო ქსელს შეუერთდა, მათ რიგებშია ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველი სახარო სკოლაც. დემოკრატიული სკოლების ქსელი წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ შექმნილ პლატფორმას, რო-



ლისთვის. რედაქცია სკოლის დირექტორს მორის დანდურიშვილს ესტუმრა, ამ და სხვა სიახლეებზე სასაუბროდ.

- ბატონი მორის, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ამ დიდ წარმატებას და სანამ უშუალოდ ამ სასიხარულო ფაქტს შევეხებით, იმ პროექტების შესახებ გვესაუბრეთ, რომელიც სკოლაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს.

– მიუხედავად იმის, რომ პანდემიის პირობებში გვიწევს სასწავლო პროცესის წარმართვა, სკოლაში, როგორც საგანგეთილო პროცესი მიმდინარეობს საქალა-სო ოთახებში, ასევე ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ერთია მშობლელთა ჩართულობის პროექტი, რომლის წარმომადგენლებიც „მშობლები – განათლებისათვის“ შეხვდნენ ჩვენს მშობლებს და საჩუქრად გადაეცათ სახელმძღვანელოები რომელიც პირველად გამოიცა, ესაა მშობლის გზამკელევი სკოლისთან ურთიერთობის, რომელშიც არის საქართველოს რამდენიმე სკოლაში ჩატარებული კვლევის შედეგები, მათ შორის, ჩვენი სკოლის. სულ სამ სკოლაში ჩატარდა და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი სკოლა იყო ამ პირველად გამოცემული სახელმძღვანელოს კვლევის ობიექტი. მეორე პროექტი გვაქვს რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი, რომლის ფარგლებშიც, ჩვენ ვახორციელებთ პროექტს „იძიე, იკვლიე, იჩხრიეები“ და ყალბი ინფორმაციის ამოცნობას ვასწავლით მოხსავლეებს მედიაწიგნიერების ფარგლებში. ესაა ძალიან საინტერესო პროექტი რომელსაც მასწავლებელთან ერთად ახორციელებს სტუდენტი. მასწავლებელი მე ვარ და ჩემთან ერთად არის ძალიან კარგი სტუდენტი გოგონა, ნინო ხაჩიძე. უკვე დავწერეთ პროექტი, რომელიც წარვადგინეთ. ეს გათვლილია საშუალო საჯეხურის ბავშვებზე, რათა განვავითაროთ მათში მედიაწიგნიერების უნარები, რომ მათ შეძლონ ცრუ ინფორმაციის გარჩევა, სწორი ინფორმაციისგან. გვქონდა არჩევანის თავისუფლება, თუმცა, გადავწყვეტი, ეს მიმართულება აგვერჩია, რომ დახელოვნებულმა მოსწავლეებმა, თვითითი ცოდნა და გამოცდილება თავის თანატოლებს გაუზიარონ.

ნინო ხაიადაშვილი:
ქალიან ღიღი სურვილი მა-
ევს ზერმერი ქალი ვიყო და
იმ ქალბატონებისთვისაც
გავხდე სტიმულის მიმცემი,
ვისაც სიახლეების ეჭინიათ

ნინო სმიადაშვილი დამწყები მეწარმეა, ყოველთვის უნდოდა, თავისი საქმე პქნონდა, რომლის კეთებაც სასარგებლო და სახიამოვნოც ერთდღოულად იქნებოდა. პანდემიის პირობებში, საობური გააკეთა და სალათის მოყვანას შეუდგა. როდესაც შეეხვდი, საოცარი ენთუზიაზმით საუბრობდა, ამბობს, რომ მიუხედავად იმის, მოგებაზე არ გასულა, მაინც ტაყილითია, რომ დაიწყო. თუმცა, მხოლოდ ეს არაა,



რისი კეთებაც უნდა და სამომავლოდ აპირებს:

—კახელი ვარ წარმოშობით, მიწის სიუვარული ბავშვობიდან მომყვება, ბებიაზ შემაყვარა. უვავილების ბადი სულ მქონდა, მომწონდა მათთან ურთიერთობა. რომ გავთხოვდი, სულ მინდოდა, ჩემი მეურნეობა მქონდა. გასულ წელს, სურვილი გამინდა, ყვავილების სათბური გამექაფებინა და ამ საქმისთვის სერიოზულად მომეკიდა ხელი. შემდეგაც პანდემია დაიწყო და თავი შევიკავე ყვავილების გამრავლებისგან. ამიტომ, მწვანილზე, კერძოდ სალათის ფურცლებზე გავაკეთე არჩევანი, საკუთარი ფურცლებზე რესურსით გავაკეთე 3 მიასედზე სათბური.

- რატომ გადაწყვიტეთ არჩევანი სალათის ფურცლებზე გაგეკეთებინათ, როგორ ფიქრობთ, ამ გამოკოლობაზეან. რამთანად მომგაბიანია?

—სხვა არაფრის გამოცდილება მქონდა მაშინ, ბევრი სხვა კულტურაც განვიხილეთ, მაგრამ ბოლოს, საღამოს ფურცლებზე შევჯერდით და ვკიქრობ სწორი არჩევანიც გავაკეთოთ-ბაზარზე მოთხოვნილებაცაა და თან, რისკები მინიჭუმამდებარება დაყვანილი. მე ბიომწანილს ვაწარმოებ. ამ ეტაპზე, ამის დამადასტურებელი სერთიფიკატი არ მაქვს და შესაბამისად, ფასსაც მე ვერ ვარეგულირებ. ბევრმა ფაქტორმა განაპირობა ის რომ ჯერ მოგზაურება ვერ გავვდით-ბანდების დასაწყისს დაემთხვა და თვითდირებულებაც დიდია. რადგან ბიომწარმოება გვაქს, შემოსავალზე ვერ ვართ ორიენტირებულები. ეს დასაწყისია, თუმცა, სამომავლოდ, მაინც ყვავილზე მინდა აქცენტი გავაკეთო.

- რეალიზებას სად ახდენთ?

—მინდა გიოხრათ, რომ რეალიზების პრობლემა არ ჟეგვქმნია, რასაც ვაწარმოებთ, ხაშურის და თბილისის ბაზარზე

- იმ ძალიან კარგ სიახლეზე ვისაუბროთ, რომელმაც სამომავლოდ, ბევრ კარგ წამოწყებას და პროექტს უნდა ჩაუკაროს საფუძველი.

-მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ჩვენი სკოლის ისაა, რომ ჩვენი სკოლა გახდა ეპოქის დემოკრატიული სკოლების საერთაშორისო ქსელის წევრი. მოხდა ამ ქსელის გაფართოება, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით 70 სკოლა მოხვდა, შვიდი – საქართველოდან და აქედან, ერთი ჩვენი სკოლაა. 47 განაცხადი იყო შესული საქართველოდან და მხოლოდ შვიდი იქნა დაკმაყოფილებული. სკოლაში განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტები უნდა წარგებინა, იგივე პროექტები, პროგრამები, აქტივობები. სკოლის შეფასებები ხდებოდა კომპლექსურად, რამდენად დიად ცვლილებებისათვის, დემოკრატიული დირექტულებებისთვის, რამდენად დიდი წარმატებები ჰქონდათ მოსწავლე-მასწავლებლებს. ოქტომბერში გავაკეთეთ განაცხადი, პერიოდულად ხდებოდა შეხვედრები. მინდა აღვნიშნო, რომ ნინო წერეთელი არის მასწავლებელი, რომელმაც თავის დროზე განახორციელა პროექტი, რომელიც უშეალოდ წარვადგინეთ, როგორც განაცხადი, ეს იყო ცხოვრებისეული უნარების განვითარება მოსწავლეებში და მინდა გითხრათ, რომ ამ პროექტმა განაპირობა ის, რომ ჩვენი სკოლა აღიარეს, როგორც დემოკრატიული საერთაშორისო ქსელის წევრი. მინდა გითხრათ, რომ განათლების სამინისტრო იმ ტიპის აქტივობებს გეგმავს სკოლებში, რომ მოხდეს დემოკრატიული კომპეტენციების განვითარება სკოლებში.

- და რას მოგვცემს სამომავლოდ ეს?

კევლაზე მეტად ის ფაქტი მახარებს, რომ წელს რეკორდულად ბევრი პირ ველკლასელი ფიქსირდება. იყო წლები, როდესაც გვაქვს სტატისტიკა, როდესაც, პირველ კლასში, მხოლოდ 13-15 ბავშვი მოდის) ახლა 47 მხოლოდ დედმამიშვილი გვავს, კუიქრობ, რომ მატებაც გვაქვს, თუმცა, 90 ბავშვია მსურველი, რაც სკლის მაღალ რეიტინგზეც მეტყველებს.

ჩვენ ასეთი სლოგანი გვაქვს სკოლაში, „რაც მოგწონს, სხვას უთხარი, რაც არ მოგწონს, ჩვენ გვითხარი”, რაც ძალიან კარგ შედეგს გვაძლევს და მსგავსი დამოკიდებულებით, ბევრი რამ სკოლაში სასიკეთოდ შეიცვალა. იმედი მაქსი, მომავალში კიდევ უფრო აქტიურები გავხდებით და ბევრ სამომავლო საქმეს, ჩემს მოსწავლეებთან ერთად წარმატებით განვახორციელებთ.

თ. ჭავახიშვილი

ვეკილით. ფასები სეზონურად იცვლება, ზამთარში
ბევრად მაღალია ფასი, თუმცა, დანახარჯიც დიდი
გვაქვს. მიუხედავად იმის, რომ ჯერ ახლები ვართ
ამ საქმეში, მაინც არ ვნახობ, რომ დავიწყე და
გარევაული გამოცდილებაც მივიღე, რაც მთავარია,
მსიამოღნებს ამის ქოთხბა.

- როგორია მოყვანის პროცესი?

-საქმაოდ შრომატევადია, ჯერ ვაზითილებთ და
მერე გადაგვაქვს გრუნტში. ამ ეტაპზე სალათის
ორი სახეობა გვაქვს, იმის მიხედვით შევარჩიეთ,
რამდენად დიდი იყო მოთხოვნილება ბაზარზე.
მიუხედავად იმის, რომ გამოცდილება არ მქონდა,
მაინც გავრისკე, მოსაყვანადაც მარტივია.

- როგორც ვიცი, ამ სათბურის გარდა სხვა საქმი-ანობასაც ეწევი:

—სოფელ გაყაში, 1 ჸა მიწა მაქვს, 0,5 ჰა-ზე, გა-
დაგწევიტე, ქოლო დაგრგვი “დანერგე მომავლის”-
ფარგლებში. მიუხედავად იმის, რომ ქოლოსთან და-
კავშირებით, არებობს სვადასხვა რისკი, მე მანც
გადაგწევიტე, ქოლოზე გამექეოებინა არჩევანი,
რადგან მოთხოვილება ძალიან დიდია ყველა სე-
ზონზე, თან ნიადაგისთვისაც ყველაზე შესაფერისი
კულტურა აღმოჩნდა. გრძელვადიანი კულტურე-
ბის დარგვა არ მინდოდა, რადგან, ჩვენს პირობებში,
რთულია, ინვესტიცია ჩადო და რამდენიმე წელი
აუცილებელი.

- რას ეტყოდით იმ ქალებს, რომელსაც სიახლეების ეშინიათ და საკუთარი საქმის წამოწყების შიში აკვთ?

—ძალიან დიდი სურვილი მაქვს ფერმერი ქალი
ვიყო და იმ ქალბატონებისთვისაც გავხდე სტიმუ-
ლის მიმცემი, ვისაც სიახლეების ქშინიათ და თა-
ვისი საქმის წამოწყება შეუძლებლად მიაჩნიათ.
აუცილებლად სცადეთ, იყავით იმ საქმეში რეალ-
იზებულები, რომელიც გიყვართ, შედეგი აუცილებ-
ლად თქვენი სახის კორი იქნება.

Digitized by srujanika@gmail.com

- წინასწარმეტყველების ხალხური ნიშნები - ნასესხები -

ნაცომი ისესხა მარცმა აპრილისგან დღეები და როგორი ამინდია მოსალოდნები მომდევნო 5 ღრის განმავლობაში

ხშირად გაიგონებდით მარტის ნასესხები დღეების შესახებ. აპრილის ეს პერიოდი გამოირჩევა სიცივითა და ტემპერატურის სტირი ცვალებადობით. ხალხურ თქმულებებში, არსებობს ერთი ძალიან სეჭდიანი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ და რა მიზნით ისესხა მარცმა აპრილისაგან დღეები:

უსსოვარ დროში, იყო ერთი დედაბერი, რომელიც, ცხვრის ფარასთან ერთად, მარტო დარჩა. ცხვრები საკუთარი შვილებივით უყვარდა და უვლიდა. გარეთ ზამთარში არ გამოდიოდა. თავის ფარასაც ბაკიდან არ უშვებდა. ეშინოდა, ასეთ ამინდში ქარს არ გაეტაცა.

ერთხელაც, ძალიან ცივი ზამთარი დადგა, ხანგრძლივ ყინვას კი ცხვრები ვერ გერ გადაიტანდნენ. როგორც იქნა, გაზაფხული დადგა. ბუნება გამოცოცხლდა.

დედაბერმა მარტს უსაყვედურა, რომ დიდხანს ალოდინა, ცხვრები არ შეიცოდა და სიცივით გათოშა. მარტს ეს გაიცხვა ეწყინა და გადაწყვიტა, კატალონიის პირენეის მთებში დარჩენილიყო და დედაბრისთვის სამაგიერო გადაეხადა. მაგრამ რას იზამდა მაშინ, როცა მისი ძმა აპრილი კარის ზღურბლთან იდგა. მაშინ მარცმა აპრილს უთხრა: „აპრილო, ძალიან გთხოვ, შენი სამი დღე მასესხე, აქ საქმეები და უმთავრებელი მაქს!“ – აპრილი დაეთანხმა. მარცმა მისი სამი დღე ისესხა. ისე აცივდა, თითქოს იანვარი მობრუნდა. ქარმა დედაბრის ნახევარი ფარა გაფანტა, მეორე ნახევარი თოვლით დაფარა. დედაბერს ერთი ცხვარიდა დარჩა. სახლში მალავდა, კერასთან ათბობდა, მაგრამ მარტს აჯობებდა? და დედაბერს უკანასკნელი ცხვარიც მოუკვდა. მარტის აპრილისაგან ნასესხები დღეებიც დამთავრდა.

დედაბერმა ასეთ დარდს უედარ გაუძლო, დაიძინა და უედარ გაიღვიძა. კატალონიის პირენეებში ამ დღეებს ახლაც „დედაბრის დღეებს“ ეძახიან.

ისტორია მართლაც რომ სევდიანია, თუმცა არანაკლებ სევდიანი, ნაცრისფერი და წვიმიანია დღეები უახლოესი ამინდის პროგნოზით ხაშურში, მით უფრო რომ წინ კიდევ ე.წ. „ნასესხები“ დღეები გველის 14, 15 და 16 აპრილი. სხვა რა გზაა და აპრილის ნასესხები დღეების თავშესაქცევად ამინდზე ცხოველთა ქვევის მიხედვით დაკვირვებებს გთავაზობთ, რაც ხალხური თქმულებებით გადმოგვცემია. მით უფრო, რომ როგორც გვირჩევენ, ამინდის პროგნოზირების მიზნით, სასურველია, ამინდის წინასწარმეტყველების ხალხური ნიშნების გათვალისწინებაც.

მაშ ასე: - თუ კატა მოკუნტულია - ყინვა იქნება, თუ ზუგზუ წვეს - დარი, თუ მაგრად სძინავს - სითბო, თუ კედელს ფხაჭნის - ავდარი.

- თუ ნახირი ჯგუფად გროვდება, წვიმა წამოვა.
- თუ ცივი ბევრ კაკალს იმარაგებს, ცივი ზამთარია მოსალოდნელი.
- თუ თხუნელები მიწიდან ამოდიან - მიწისძვრას ელოდე.
- ცხოველები ზურგით რომელ მხარესაც დაწვებიან, ქარიც იქიდან დაუბერავს.
- თუ ქათმებს ადრე შემოდგომაზე დაეწყოთ ბუბულის ცვენა, თბილი ზამთარი დადგება.

- დორი სითბოს წინ იფხანს, ავდრის წინ ჭყვირის.
- თუ გაზაფხულზე კურდდლებს დიდხანს არ სცვივათ ბეწვი, ცივი ამინდები გაჭიანურდება.
- თუ წაბლის მოსავალი ბევრია, ცივი ზამთარია მოსალოდნელი.
- ფური თუ მიწაზე დაწვა, თბილი ამინდი იქნება.
- თუ ფრთოსნები ბუდეს ხეების მზიან მხარეზე აკეთებენ, გრილი ზაფხული ელოდე.
- თუ ნახირი ცოტა წყალს სვამს და დღისით სძინავს - წვიმის ნიშანია.

მაშ ასე: წინ ნასესხების დღეებია, მაგრამ არ უნდა შეგვეშინდეს. ამ დღეებში ხუთშაბათიც ურევია (15 აპრილი) და თუ ისევ ხალხურ ნიშნების დაუჯერებთ, ალბათ გამოიხუთშაბათებს და მზიანი ამინდი იმდლავრებს.



სოფელ რუსაან-ტებანში გეტრ-ბის გზის დაგებების სამუშაოები დაიწყო

პროექტი, რომლის დირექტულებაც 818 384 ლარს შეადგენს, ორ ეტაპად განხორციელდება, მისი დასრულება 2022 წელს იგეგმება.



რეაბილიტირებული გზა 200-ზე მეტი ადგილობრივსა და დამსვენებელს მოქმედს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯებული კომპანია „ჰედეფ ჯორჯია“ ასრულებს.

დუმაცხოვში, მონასტერსა და ქინძათში გზების რეაბილიტაციის პროექტები ხორციელდება

მიმდინარე სამუშაოები მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ, მერის მოადგილე ზურაბ როსეგაშვილმა და მუნიციპალიტეტების განხორციელებური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

დუმაცხოვში გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. რეაბილიტირებული გზით 200-ზე მეტი ადგილობრივი და სოფელის სტუმარი ისარგებდებს. პროექტის დირექტულება 707 ათასი ლარ-

ია. პროექტი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე წლის ზაფხულში დაგეგმილი სოფელ მონასტერში ბეტონის გზის დაგების სამუშაოების დასრულებაც, რომლით სარგებლობასაც 300-ზე მეტი ადგილობრივი და დამსვენებელი შემდებს. პროექტის განხორციელებდად ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 559535 ლარია.

814 998 ლარი დაიხარჯება სოფელ ქინძათში გზის მოასფალტების პროექტის განხორციელების შედეგად სოფელ ქინძათში მცხოვრები 300-ზე მეტი ადგილობრივი და დამსვენებელი შემდებს. პროექტის განხორციელებდად ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 559535 ლარია.

814 998 ლარი დაიხარჯება სოფელ ქინძათში გზის მოასფალტების პროექტის განხორციელების შედეგად სოფელ ქინძათში მცხოვრები 300-ზე მეტი ადგილობრივი და დამსვენებელი შემდებს. პროექტის განხორციელებდად ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 559535 ლარია.

სოფელ სავანისუბანში სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება

პროექტის ფარგლებში გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს.

მოასფალტების სამუშაოების ღირებულება 674 229 ლარია. პროექტს ტენდერში გამარჯებული კომპანია „დინ გრუპ“ ახორციელებს.

პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ზაფხულისთვის იგეგმება. შედეგად, 400-ზე მეტი ადგილობრივისა და დამსვენებლის გადაადგილების პირობები გაცილებით უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

პროექტის დაფინანსების წყარო ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტია.



- ძიუდო -

თემურ ნოზაძე - ხაშურის საჭირო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი

ოქროს მედლით დაასრულა, ცოტა ხნის წინათ, თბილისში გამართული გრანდ სლემი ახალგაზრდა ძიუდოისტმა თემურ ნოზაძემ. გრანდ სლემი, მოგეხსენებათ, მეტად პრესტიული შეჯიბრებაა ძიუდოში, ნოზაძეს კი უკანასკნელ ორ წელიწადში ორი ვერცხლის (ბაქოში 2020 წელს, თელ ავივში 2021 წელს) და ერთი ბრინჯაოს (პარიზში 2019 წელს) მედალი ჰქონდა მასზე მოპოვებული. გარდა ამისა, ზედიხედ ორი წელიწადი ნოზაძემ ევროპის 23 წლამდელთა ჩემპიონატზე ჯერ ბრინჯაოს, მერე ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. ლოგიკურად ყველა გზა ოქროსკენ მიღიოდა და ასეც მოხდა.

თემურ ნოზაძე ხაშურის საჭირო სკოლის აღზრდილია, თუმცა ბოლო წლებში, გორის გურამ პაპიტაშვილის სახელმისი დარბაზში მეცადინეობდა. ამ ქალაქის საყოველთაოდ აღიარებული ძიუდოს კერა და



ტრადიციები კარგად წაადგა იმედისმომცემ სპორტსმენს და ყოველ მომდევნო წელს, ის, სულ უფრო უკეთეს შედეგებს აღწევს.

თემურთან ინტერვიუ, თბილისის გრანდ სლემის შესახებ საუბრით დავიწყეთ.

- ეროვნული ნაკრები, გრანდ სლემისთვის თბილისში უმზადებოდა. ნაფოვიერი შეგარება გავიარეთ, თავადაც კარგ ფორმაში შევედი და უშუალოდ შეჯიბრების დღესაც გვრმნობდი, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვიყავი. საბედნიეროდ, შესაძლებლობებიც კარგად გამოვავლინე და საბოლოო გამარჯვებაც მოვიპოვე.

- ზოგადად, გრანდ სლემზე, ოქროს მედალთან ახლოს იყავი. აქამდე სამჯერ აიღე ამ რანგის შეჯიბრებაზე სხვადასხვა სინჯის მედალი. ახლა კი ოქროს მედალსაც დაეუფლე...

- დიახ, აქამდე გრანდ სლემზე თრი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მქონდა მოპოვებული. პირველად, ბრინჯაო ავიღე, პარიზში 2019 წელს. მაშინ კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ უინალში გადასავლელში იაპონელი ტაკატო შემხედა და მაჯობა. დასანანი იყო ბაქოს და თელავიის გრანდ სლემების გვერცხლის მედლები, როცა მართლაც ერთი ნაბიჯი დამაკლდა წარმატებამდე. საბედნიეროდ, ნავსი გავტეხე და აგერ ოქროსაც შევწევდი.

- თემურ, თბილისის ტატამზე 5 მოგებული შეხვედრიდან 3-ჯერ აზიელს სძლიერ. მათი უპირატესობა, უფრო ფიზიკური სიძლიერეა, როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე აკობე ამ მოწინააღმდეგებას?

- დიახ, ამ გრანდ სლემზე უზბექ, ყაზახ და მონცველი ძიუდოისტებინა პაექტობა. გამოვარევდი, მონცველ მეტოქეს არიუნბოლდ ენებარივანს, რომელიც გრანდ სლემის წინ ერთობლივი წვრთნებისას თბილისში იყო და უშუალოდაც ვაჭიდავეთ რამდენჯერმე. მისი დამარცხება, ვარჯიშებზეც გამოჩნდა რომ ძალიან როული ჩანდა, სიმართლე გითხვათ, არ მინდოდა კენჭისყრისას ჩემს ბადები მოხვედრილიყო, მაგრამ შეჯიბრების დაწყების დღეს, ბადები რომ გამოქვეყნდა, ვნახე, რომ ორი მოწინააღმდეგის გადაღახვის შემთხვევაში, მესამე მეტოქედ ის მეცნიერება. ორი ეტაპი, მართლაც ორივემ წარმატებით გავიარეთ და ერთმანეთსაც შევხვდით. პირდაპირ გეტყვით, ჩემი ფიზიკური მომზადება მასთან არაფერი იყო, თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს და მეც ტექნიკის ხარჯზე მოვახერხე მონღლობის ჩამოცილება გზიდან - ვაზარს ვაგებდი, რომელიც გავქვით და ოქროს დროში გადასვლისას, გამარჯვების გდებაც შევასრულე.

- ფინალში გადასასვლელი, ნიდერლანდების ნაკრების ქართველ წევრ თორნიკე ჭადუასთან მოგიშია, რომელთანაც, ამავე დროს, რევანში გქონდა ასაღები.

- ერთი წლის წინ, დიუსელდორფის გრანდ სლემზე წაგადა თორნიკე ჭადუასთან. იქაც 7-8 წელი ვიჭიდავეთ. ვფიქრობ, რომ იმ მარცხში მსაჯებმა უარყოფითი როლი ითამაშეს. არ ვიყავი მაშინ წაგების დირსი. ჩვენი შევედრა ახლაც არ იყო იოლი. თორნიკე ნამდვილად უხერხელი მოწინააღმდეგება, ძალიან ელასტიურია, მასთან წარმოშევლი თითქმის ყველა ილეთისას, როდესაც მგონებია რომ დავაგდე და ავედე მეთქი ქულა, რაღაც ნაირი რად მაინც ახერხებს ხოლმე თავის დაღწევას. ამჯერდაც ასე ხდებოდა, მაგრამ რექროს დროის, მესამე წელზე, წარმატებით დავასრულე ჩემი წამოწებული ილეთი და გამარჯვებასთან ერთად, რევანშიც აგულე.



- და ფინალი, სადაც აკრძალული ილეთისათვის მოხსნეს შენი მოწინააღმდეგებულებები უზარქვება მოგანიჭეს.

- ნურილავეგიც ძლიერი სპორტსმენია. სხვათაშორის, მასთანაც რევანშის აღება მომიწია თბილისში (თემურმა 2019 წელს ბუდაპეშტის გრანდ წაგარ ნურილავეთან - ვ. გ.). მსაჯებმა, ის ამჯერად აკრძალული ილეთის გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან, მაგრამ მე კარგად მიმყავდა შესვედრა, საკმაოდ მოტივირებული და მოსაგებად განწყობილი ვიყავი, ამიტომ მჯერა, რომ ამ შევედრას მაინც მოგიგებდო.

- თემურ, უცელა მოგებული შეხვედრის შემდეგ, თითოთ ტრიბუნებისკენ ანიშნებდი - ალბათ, ვიღაცას უძღვნიდი ამ გამარჯვებებს.

- ტრიბუნებზე, ჩემი ვჯახის წევრები ისხდნენ. იქ იყო ჩემი ძმა და ყოველი გამარჯვების შემდეგ, მას მიგმართავდი გახარებული. საერთოდ კი, ამ გრანდ სლემზე წარმატებას ბიძახებს - აწერდაცელილ ვიტალი ნოზაძეს გუძღნი, რომელმაც დამატებინა ჭიდაობა, გვერდით მყავდა ყველა შეჯიბრებზე, თუ მომზადების პროცესში - ვიდრე ცოცხალი იყო. მისი დიდად მადლიერი ვარ. ამიტომ, ყველაფერი, რასაც მივაღწიე, მისი დამსახურებაა და თუ რამეს მივაღწევ მომავალში, სწორედ ბიძახებს, მის სხვნას მინდა მივუძვნა.

- მწვრთნელებმა რა შეფასება მოგცეს გრანდ სლემის შემდეგ?

- მწვრთნელები მუდამ მეუბნებოდნენ, რომ ძალიან ემოციურად ვუდგებოდი ყველა მარცხს და ასე არ შეიძლებოდა. ახლა, ყველაფერი ბევრად დალაგებული მაქს, დავით მეტიდიდი და როგორც იტყვიან ხოლმე, ცოტა უფრო დაგვინდიდო. მწვრთნელები სულ მეუბნებიან, რომ როცა მშვიდად ვარ, ყველაფერი უკათ გამომდის და შესაბამისად, მეც ასე ვიქცევი.

- ბოლოს, შენი წონითი კატეგორიის შესახებაც ვთქვათ. საქართველოში 60 კგ ერთ-ერთი უცელაზე უფრო კონკურენტული წონაა. აქ, შენს გარდა, არიან, ლუსუმ ჩხვიამიანი, ძმები ამირან და ჭაბა პაპინაშვილები...

- მეტსაც გეტყვით, მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებში, დღეს დაგვინდით, კველაზე უფრო დიდი კონკურენცია სწორედ 60 კგ-შია და რა თქმა უნდა, ეს კარგიცა.

- უახლოეს შეჯიბრებაზე სად შეგვიძლია გიხილოთ?

- თბილისის გრანდ სლემის მოგებამ, მომაპოვებინა ევროპის საგურული და ახლა სწორედ იქ ვისაპარებზებ. ევროპის ჩემპიონატი 16-18 აპრილს პორტუგალიაში გაიმართება.

ვასილ ბალახაძე



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიანის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთობის ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

მონიშნული სტატია იძებლება დაკვეთით

გაზეთი იძებლება თბილისში.